

შპს X ვექტორი

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
განმარტებითი შენიშვნები	5
ბოლო გვერდი	11

შპს „X ვექტორი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ლარებში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	31-დეკ-24	01-იან-24
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	3	418,699	206,052
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	757,397	267,223
გადახდილი ავანსები		497,865	448,921
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5	280,901	331,613
სხვა მიმდინარე აქტივები		3,072	3,072
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	-
სულ მიმდინარე აქტივები		1,957,934	1,256,880
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	594,752	618,877
არამატერიალური აქტივები		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		594,752	618,877
სულ აქტივები		2,552,686	1,875,757
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	7,480	3,483
საგადასახადო ვალდებულებები		71,171	37,917
მიღებული ავანსები		722,593	740,367
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	8	146,583	160,720
სულ მიმდინარე ვალდებულებები		947,827	942,488
სულ ვალდებულებები		947,827	942,488
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		1,604,859	933,269
სულ საკუთარი კაპიტალი		1,604,859	933,269
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2,552,686	1,875,757

ხელმოწერი პირი:

დირექტორი

x vectori

Digitally signed by x vectori
Date: 2025.10.05 11:10:49
+04'00'

შპს „X ვექტორი“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ლარებში

	შენიშვნები	2024	2023
ამონაგები	9	2,747,303	2,590,993
თვითღირებულება	10	(851,022)	(987,418)
საერთო მოგება		1,896,281	1,603,574
ადმინისტრაციული ხარჯი	11	(564,028)	(666,996)
საოპერაციო ხარჯები		-	-
ნეტო კურსთა შორის სხვაობა		-	-
სხვა შემოსავალი		21,513	58,541
ცვეთა და ამორტიზაცია		(79,788)	(64,430)
საპროცენტო ხარჯები		(28,622)	(54,774)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(83,968)	(12,018)
მოგება დაბეგვრამდე		1,161,388	863,898
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა ზარალი/მოგება		1,161,388	863,898

ხელმოწერი პირი:

დირექტორი

x vectori

Digitally signed by x vectori
Date: 2025.10.05 11:11:15
+04'00'

შპს „X ვექტორი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ლარებში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	31-დეკ-24	01-იან-24
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	3	418,699	206,052
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	757,397	267,223
გადახდილი ავანსები		497,865	448,921
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5	280,901	331,613
სხვა მიმდინარე აქტივები		3,072	3,072
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	-
სულ მიმდინარე აქტივები		1,957,934	1,256,880
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	594,752	618,877
არამატერიალური აქტივები		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		594,752	618,877
სულ აქტივები		2,552,686	1,875,757
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	7,480	3,483
საგადასახადო ვალდებულებები		71,171	37,917
მიღებული ავანსები		722,593	740,367
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	8	146,583	160,720
სულ მიმდინარე ვალდებულებები		947,827	942,488
სულ ვალდებულებები		947,827	942,488
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		1,604,859	933,269
სულ საკუთარი კაპიტალი		1,604,859	933,269
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2,552,686	1,875,757

ხელმოწერი პირი:

დირექტორი

შპს „X ვექტორი“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ლარებში

	შენიშვნები	2024	2023
ამონაგები	9	2,747,303	2,590,993
თვითღირებულება	10	(851,022)	(987,418)
საერთო მოგება		1,896,281	1,603,574
ადმინისტრაციული ხარჯი	11	(564,028)	(666,996)
საოპერაციო ხარჯები		-	-
ნეტო კურსთა შორის სხვაობა		-	-
სხვა შემოსავალი		21,513	58,541
ცვეთა და ამორტიზაცია		(79,788)	(64,430)
საპროცენტო ხარჯები		(28,622)	(54,774)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(83,968)	(12,018)
მოგება დაბეგვრამდე		1,161,388	863,898
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა ზარალი/მოგება		1,161,388	863,898

ხელმოწერი პირი:

დირექტორი

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „X ვექტორი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს/წ 416290882), რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, 2010 წლის 8 დეკემბრიდან საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, ქ. რისთავი, მ. კოსტავას გამზირი კორ. 17 ბ.3

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ალექსი ხაჩიძე.

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავ კომპანიის დირექტორი - ალექსი ხაჩიძე.

შპს „X ვექტორი“-ს საქმიანობაა ობიექტების კომპლექსური დამხმარე მომსახურება და სხვა სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების გაწევა.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-24	31-დეკ-23
1 USD/GEL	2.8068	2.6894
1 EUR/GEL	2.9306	2.9753

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოების (IFRS for SME) 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად. ეს არის კომპანიის მიერ პირველად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება 2023 და 2024 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, 2023 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს განგრძობითობის რისკის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების წამგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მაჩვენებელი, ხდება აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადებით:

მიწის ნაკვეთები	-
შენობა-ნაგებობები	10-30 წელი
ოფისის აღჭურვილობა	3-5 წელი
მანქანა-დანადგარები	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი/მომსახურება და გადაეცემა საკუთრების უფლება/გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილის მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო ვადა აღემატება სტანდარტულ საკრედიტო ვადას, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაიხედოს, რათა მოხდეს იმის განსაზღვრა არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. ასეთ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

შპს „X ვექტორი“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2024 წლის 31 დეკემბერი
ლარებში

3. ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	33,001	2
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	355,907	183,788
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	29,792	22,262
სულ ფულადი სახსრები	418,699	206,052

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	190	32
სავაჭრო მოთხოვნები	756,597	267,191
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	610	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	757,397	267,223

5. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნედლეული	39,752	34,531
საქონელი	12,487	12,487
სხვა მარაგები	228,662	284,594
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	280,901	331,613

6. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	ოფისის აღჭურვილ ობა	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ღირებულება						
1/1/2024	70,000	278,949	73,679	22,727	458,215	903,569
შეძენა/ჩამოწერა	-	40,309	-	-	(4,215)	36,094
12/31/2024	70,000	319,258	73,679	22,727	454,000	939,664
დაგროვილი ცვეთა						
1/1/2024	-	56,470	55,630	17,388	155,204	284,693
ცვეთა	-	11,093	10,198	1,525	37,403	60,219
12/31/2024	-	67,563	65,829	18,913	192,607	344,912
ნარჩენი ღირებულება						
1/1/2024	70,000	222,478	18,048	5,339	303,011	618,877
12/31/2024	70,000	251,695	7,850	3,814	261,393	594,752

შპს „X ვექტორი“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2024 წლის 31 დეკემბერი
ლარებში

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

მიმდინარე სავაჭრო და სხვა ვალდებულება	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ვალდებულება საწარმოს პერსონალის მიმართ	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	7,480	3,483
ხელფასი	-	-
სულ მიმდინარე სავაჭრო და სხვა ვალდებულება	7,480	3,483

8. სესხები

მიმდინარე სასესხო ვალდებულება	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	146,583	160,720
პროცენტი	-	-
სულ მიმდინარე სასესხო ვალდებულება	146,583	160,720

9. ამონაგები

ამონაგები	2024	2023
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	2,747,303	2,590,993
ამონაგები	2,747,303	2,590,993

10. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	2024	2023
თვითღირებულება	838,485	988,859
რემონტის და სხვა დანახარჯები	12,537	-
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	851,022	988,859

11. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
ხელფასის ხარჯი	526,698	613,955
სხვა ხარჯი	37,330	53,041
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	564,028	666,996

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელსაც გავლენა ექნებოდა კომპანიაზე, არ დაფიქსირებულა.

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ეს ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 5 ოქტომბერს.